

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
უცხოური ენების ჯგუფი

როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული
გამოცდებისათვის

გერმანული ენა

2021

სარჩევი

| | |
|-------------------------------------------------|----|
| შესავალი | 3 |
| საგამოცდო პროგრამა | 4 |
| საგამოცდო ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება | 6 |
| დავალებების დეტალური აღწერა და რეკომენდაციები | 7 |
| პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია | 13 |
| წერის დავალებების შეფასების სქემები | 14 |
| წერის დავალებების შეფასების ნიმუშები | 16 |
| დავალებების ნიმუშები | 20 |
| საგამოცდო ტესტის ნიმუში | 32 |
| პასუხები | 40 |

შესავალი

გერმანული ენის ტესტი ამოწმებს აბიტურიენტის მოსმენის, კითხვის და წერის უნარებსა და ლექსიკურ-გრამატიკულ კომპეტენციას. ტესტური მასალის სირთულის დონე არის B1, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია.

ყურადღებით წაიკითხეთ კრებულში მოცემული საგამოცდო პროგრამა და ტესტის სტრუქტურა, ასევე შეფასების კრიტერიუმები და რეკომენდაციები. იმუშავეთ კრებულში მოცემულ როგორც დავალებების ნიმუშებზე, ისე მთლიანი ტესტის ნიმუშზე. ყურადღებით წაიკითხეთ და ზუსტად შეასრულეთ დავალებების მოთხოვნები. თითოეული დავალების შესრულების შემდეგ თქვენი პასუხები შეადარეთ კრებულის ბოლოს მოცემულ პასუხებს. არასწორი პასუხის შემთხვევაში გაიაზრეთ შეცდომა და გარკვეული პერიოდის შემდეგ, იგივე სავარჯიშო ხელახლა შეასრულეთ.

ტესტის 1-5 დავალებები დახურული ტიპისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენი პასუხი პასუხების ფურცლის სათანადო გრაფაში უნდა მონიშნოთ (ჯვარედინად გადახაზოთ). 6-8 დავალებები კი ღია სახის დავალებებია, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენი პასუხი პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას უნდა დაწეროთ. გახსოვდეთ, რომ სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი. ტესტის სტრუქტურა და სირთულის დონე ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის შესაბამისია.. ჩვენი რჩევაა, რომ კრებულში მოცემული მასალის გარდა, ივარჯიშოთ შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ წინა წლებში გამოქვეყნებულ ტესტურ დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80. საგამოცდო დროის ხანგრძლივობაა 2 სთ. და 30 წთ.

ქვემოთ მოცემულ ვებ-გვერდებზე მოთავსებულია საგამოცდო მოთხოვნების და ენობრივი დონის შესაბამისი მოსასმენი ტექსტები და სავარჯიშოები. ამ მასალაზე ვარჯიში გამოცდის მოსმენის ნაწილის წარმატებით შესრულებაში დაგეხმარებათ.

<https://deutschlernerblog.de>

[https:// www.dw.com>deutsch-lernen](https://www.dw.com/deutsch-lernen)

2021 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა გერმანულ ენაში

უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მსურველს უნდა შეეძლოს:

- **წაკითხოს** B1 სირთულის მცირე ან საშუალო ზომის შემეცნებითი ან ინფორმაციული სახის ტექსტი - განცხადება, რეკლამა, წერილი, ადაპტირებული საგაზეთო პუბლიკაცია და ა. შ. და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე კონკრეტული ინფორმაცია. შეარჩიოს და გამოიყენოს დავალების შესაბამისი კითხვის სტრატეგიები.
- **მოისმინოს** შესაბამისი სირთულის მცირე ზომის შემეცნებითი ან ინფორმაციული სახის ტექსტი (დიალოგი ან თხრობითი სახის) და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე კონკრეტული ინფორმაცია. შეარჩიოს და გამოიყენოს დავალების შესაბამისი მოსმენის სტრატეგიები.
- **დაწეროს** 120-150 სიტყვიანი თხზულება. მკაფიოდ, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება მოცემულ თემასთან დაკავშირებით. გამოიყენოს მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურები.
- **დაწეროს** მცირე ზომის განმარტებითი ხასიათის საქმიანი წერილი. გამოიყენოს მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურები.
- გაიგოს და მოთხოვნის შესაბამისად გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული B1 დონის **ლექსიკა, გრამატიკა და ენობრივი ფუნქციები**.

ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა უცხოურ ენებში სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ითვალისწინებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ენობრივ უნარებს და მისაღწევ შედეგებს.

გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხის დაზუსტება |
|-------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| არსებითი სახელი | ბრუნვა, ბრუნება, სქესი, მრავლობითი რიცხვის წარმოება |
| არტიკლი | განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ნულოვანი. მათი ხმარება |
| ზედსართავი სახელი | ბრუნება, შედარების ხარისხები |
| რიცხვითი სახელი | რაოდენობითი, რიგობითი, წილობითი |
| ნაცვალსახელი | პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, კითხვითი, განუსაზღვრელი, უპირო |
| ზმნა | 1.სუსტი, ძლიერი, არაწესიერი და შერეული ზმნები; ზმნის ძირითადი ფორმები; ზმნის დროის ფორმები; უკუქცევითი, დამხმარე და მოდალური ზმნები; 2.მოუცილებად- და მოცილებადთავსართიანი ზმნები; კაუზატიური ზმნები; ბრძანებითი კილო; ინფინიტივი zu ნაწილაკით და მის გარეშე; ინფინიტიური კონსტრუქციები um...zu, statt...zu, ohne...zu 3.მიმღება I და II; ვნებითი გვარი; ზმნის ვალენტობა და მართვა 4. კავშირებითი კილო: Konjunktiv II 5. ფუნქციური ზმნები; 6. ზმნები მყარ შესიტყვებებში; |
| ზმნიზედა | დროის, ადგილის, ვითარების; ზმნიზედის შედარების ხარისხები; ნაცვალსახელური ზმნიზედები; |
| წინდებული | 1. მიცემითის(Dativ):mit, von, bei, zu, nach, seit,aus, außer ... 2. ბრალდებითის (Akkusativ):durch, für, ohne, um, gegen ... 3. ნათესაობითის (Genitiv): während, wegen, statt, trotz ... 4. ბრუნვამონაცვლე (Dativ-Akkusativ): an, auf, hinter, neben, in... |
| უარყოფა | nicht, kein |
| კავშირი | მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები:und, aber, denn, oder, sondern, als, wenn, dass, ob, während, bis, weil, da, obwohl წყვილი კავშირები: entweder...oder, nicht nur...sondern auch, sowohl...als auch, weder...noch, zwar...aber; |
| მარტივი წინადადება | თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი |
| რთული წინადადება | თანწყობილი ქვეწყობილი: 1. განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადება (Relativsatz) 2. მიზნით გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (Finalsatz), ინფინიტიური კონსტრუქცია um..zu; 3. ვითარების გარემოებით დამოკიდებული წინადადება (Modalsatz), ინფინიტიური კონსტრუქცია (an)statt...zu, ohne...zu; 4. დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადება (Temporalsatz) 5. დათმობითი დამოკიდებული წინადადება (Konzessivsatz) 6. მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადება (Kausalsatz), მთავარი წინადადება კონექტორით: deshalb, deswegen, darum; ინფინიტიური კონსტრუქცია um...zu; 7. ირიბი კითხვა (W- Wort, ob); |
| სიტყვათწარმოება, ორთოგრაფია და პუნქტუაცია | ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში |

საგამოცდო ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

ტესტი შედგება 8 დავალებისაგან. 1-5 დავალები დახურული დავალებებია, 6-8 კი - ღია. პირველი და მეორე დავალები მოსმენის უნარს ამოწმებს, მე-3 - მე-6 დავალები - კითხვის უნარს, ასევე ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნას, მე-7 და მე-8 დავალები კი წერის უნარის შესამოწმებელი დავალებებია. ტესტში სულ 60 საკითხია. ყველა საკითხი, წერის დავალებების გარდა, ფასდება 1 ქულით. წერის პირველი დავალება (წერილი) ფასდება 6 ქულით, მეორე დავალება (თხზულება) – 16 ქულით. **ტესტის მაქსიმალური ქულაა 80. საგამოცდო დროის ხანგრძლივობა არის 2 სთ. და 30 წთ.**

ქვემოთ, სქემის სახით მოცემულია ტესტის სტრუქტურა, დავალებების პირობები და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით.

| N | რა უნარი ან ენობრივი ასპექტი მოწმდება | დავალება | საკითხების რაოდენობა | ქულა სწორ პასუხში | მაქსიმალური ქულა |
|---|---------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|-------------------|------------------|
| 1 | მოსმენა | მოუსმინეთ 5 ტექსტს და უპასუხეთ თითოეული ტექსტის შემდეგ მოცემულ 2-2 შეკითხვას. | 10 | 1 | 10 |
| 2 | მოსმენა | მოუსმინეთ 1 ტექსტს და უპასუხეთ 8 შეკითხვას. | 8 | 1 | 8 |
| 3 | კითხვა | წაკითხეთ შეკითხვები და განსაზღვრეთ, თუ ტექსტის რომელ აბზაცშია მოცემული მათზე პასუხი. | 8 | 1 | 8 |
| 4 | კითხვა | წაკითხეთ ტექსტი და ყოველი შეკითხვისთვის 4 მოცემული პასუხიდან აირჩიეთ ერთი. | 8 | 1 | 8 |
| 5 | ლექსიკა | გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით შესაბამისი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა. სიტყვების ჩამონათვალი მოცემულია. | 12 | 1 | 12 |
| 6 | გრამატიკა | გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით შესაბამისი სიტყვა (კავშირი, წინდებული, არტიკლი, ა. შ). | 12 | 1 | 12 |
| 7 | წერა | წაკითხეთ წერილი ან განცხადება და მისწერეთ საპასუხო იმეილი ავტორს; სთხოვეთ მას ზოგიერთი ინფორმაციის დაზუსტება. | 1 | 6 | 6 |
| 8 | წერა | მოცემული თემის გარშემო დაწერეთ 120-150 სიტყვიანი თხზულება. | 1 | 16 | 16 |
| | ჯამი | | 60 | | 80 |

ეროვნულ ტესტში მოცემული ენობრივი უნარების ქულობრივი და პროცენტული განაწილება არის შემდეგი:

- მოსმენა 18 ქულა (22.5%)
- კითხვა: 16 ქულა (20%)
- ლექსიკა-გრამატიკა: 24 ქულა (30%)
- წერა: 22 ქულა (27.5%)

ღია და დახურული საკითხების ქულობრივი და პროცენტული განაწილება არის შემდეგი:

- დახურული: 46 ქულა (57.5%);
- ღია: 34 ქულა (42.5%)

ტექსტის ამგვარი შინაარსობრივი და სტრუქტურული აგებულება მას დაბალანსებულს, მრავალფეროვანსა და განსხვავებულ ენობრივ უნარებზე ორიენტირებულს ხდის. ეს კი აბიტურიენტს მისი ძლიერი მხარეების უკეთ გამოვლენაში ეხმარება.

დავალებების დეტალური აღწერა და რეკომენდაციები

დეტალურად განვიხილოთ თითოეული დავალება. განვსაზღვროთ მისი მოცულობა და შინაარსი, ასევე მასში შემავალი საკითხების რაოდენობა. დავადგინოთ, თუ რას და როგორ ამოწმებს თითოეული მათგანი და რამდენ ქულას იღებს კონკრეტული დავალების სწორი პასუხი. განვსაზღვროთ, თუ რა არის საჭირო ტექსტის ტექნიკურად სწორად შესრულებისთვის. გაითვალისწინეთ რომ ტექსტის წარმატებით შესასრულებლად აუცილებელია დავალებების პირობების ყურადღებით წაკითხვა და მოთხოვნების ზუსტად შესრულება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კარგად გაიაზროთ ის, თუ კონკრეტულად რის გაკეთებას ითხოვს ცალკეული დავალება. ყოველივე ეს ტექსტისთვის გამოყოფილი დროის ეფექტიანად გამოყენებაში დაგეხმარებათ. საგამოცდო ტესტში დავალებების ინსტრუქციები მოცემულია გერმანულ ენაზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ტექსტის სწორად შესრულებისთვის აუცილებელი **ტექნიკური და მეთოდური რეკომენდაციები**. გთხოვთ, ზუსტად დაიცვათ დავალების მოთხოვნა და პასუხების ფურცელში მონიშნოთ (ჯვარედინად გადახაზოთ) მხოლოდ თქვენი პასუხების შესაბამისი გრაფა. ჩასაწერი პასუხების შემთხვევაში, გთხოვთ, პასუხების ფურცელში ჩაწეროთ მხოლოდ თქვენი პასუხი; **ტესტიდან პასუხების ფურცელში ნუ გადაიტანთ ზედმეტ სიტყვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი შეცდომად ჩაგითვლება**. ტექნიკურად არასწორად შესრულებული დავალება, უხეშად გადასწორებული ან გაურკვეველი ხელწერით დაწერილი პასუხი შეცდომად ჩაითვლება. პასუხების ფურცელში გადასწორებული პასუხი გასწორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცდომით მონიშნულ გრაფას მთლიანად გააშავებთ და ახალ გრაფას მონიშნავთ. ღია პასუხის შემთხვევაში გადასწორებული პასუხი გასწორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო პასუხი ნათლად და გასაგებად იქნება დაწერილი. დაიტოვეთ დრო თქვენი პასუხების პასუხების ფურცელზე გადასატანად (ეს იმ შემთხვევაში, თუ პასუხები თავდაპირველად 'შავ' სამუშაო ფურცელზე გაქვთ დაწერილი). გახსოვდეთ, რომ გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი. დავალებების მოთხოვნები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტში მოცემული მისაღწევი შედეგების შესაბამისია.

დავალება 1 მოსმენა

მოსმენის ეს დავალება შედგება 5 მცირე ზომის ტექსტისაგან. თითოეული ტექსტის ხანგრძლივობა დაახლ. 1 წუთია. ყოველ ტექსტს (ჩანაწერს) ახლავს ორი შეკითხვა. აბიტურიენტს მოეთხოვება ჩანაწერში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოცემულ შეკითხვებზე 3 შესაძლო პასუხიდან აირჩიოს და პასუხების ფურცელზე მონიშნოს ერთი პასუხი. მოსმენის ეს დავალება ამოწმებს როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული ინფორმაციის გაგების უნარს. დავალების მთლიანი ხანგრძლივობა 11-12 წუთია. თითოეულ ტექსტს აბიტურიენტი ისმენს ორჯერ. მოსმენებს შორის არის პაუზა, რაც მას შეკითხვების კიდევ ერთხელ წაკითხვის და პასუხის გადამოწმების საშუალებას აძლევს. **საკითხების რაოდენობაა 10**. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 10.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

- წინასწარ, ჩანაწერის მოსმენამდე, გაეცანით დავალების პირობას და მოცემულ შეკითხვებს. ამისთვის სპეციალური დროა გამოყოფილი. პირველივე მოსმენისას აღნიშნეთ თქვენთვის მისაღები პასუხი; მეორე მოსმენა პასუხების გადამოწმების და შესაძლო ცვლილებების საშუალებას მოგცემთ.
- ნუ შეშინდებით, თუ ყველაფერს ვერ გაიგებთ. მთავარია მოსმენისას ყურადღება გაამახვილოთ იმ კონკრეტულ საკითხზე ან შეკითხვაზე, რაც ტესტშია მოცემული.
- **ეცადეთ მიყვეთ ჩანაწერს.** მაგ., თუ რომელიმე საკითხზე პასუხი ნამდვილად არ გაქვთ, მასზე უფრო მეტ დროს ნუ დახარჯავთ, ვიდრე ეს თავად ჩანაწერშია მოცემული, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება მომდევნო ტექსტის ჩანაწერს ვერ მიჰყვეთ და ამოვარდეთ მოსმენის ტემპიდან და შემდეგ შეკითხვას ველარ უპასუხოთ.

დავალება 2 მოსმენა

მოსმენის ეს დავალება შედგება 1 შედარებით დიდი მოცულობის ტექსტისაგან, რომლის ხანგრძლივობა დაახლ. 3-4 წუთია. ტექსტს (ჩანაწერს) ახლავს 8 შეკითხვა. აბიტურიენტს მოეთხოვება ჩანაწერში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოცემულ შეკითხვებზე 3 შესაძლო პასუხიდან აირჩიოს და პასუხების ფურცელზე მონიშნოს ერთი პასუხი. მოსმენის ეს დავალება ამოწმებს როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული ინფორმაციის გაგების უნარს. დავალების მთლიანი ხანგრძლივობა დაახლ. 9-10 წუთია. ტექსტს აბიტურიენტი ისმენს ორჯერ. მოსმენებს შორის არის პაუზა, რაც მას კონკრეტული დავალების პირობის კიდევ ერთხელ წაკითხვის და პასუხის გადამოწმების საშუალებას აძლევს. **საკითხების რაოდენობაა 8.** თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 8.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

- წინასწარ, ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე, გაეცანით მოცემულ შეკითხვებს და შესაძლო პასუხებს. ამისთვის სპეციალური დროა გამოყოფილი. პირველივე მოსმენისას აღნიშნეთ თქვენთვის მისაღები პასუხი; მეორე მოსმენა პასუხების გადამოწმების და შესაძლო ცვლილებების საშუალებას მოგცემთ.
- ნუ შეშინდებით, თუ ყველაფერს ვერ გაიგებთ. მთავარია მოსმენისას ყურადღება გაამახვილოთ იმ კონკრეტულ საკითხზე ან შეკითხვაზე, რაც ტესტშია მოცემული.
- **ეცადეთ მიყვეთ ჩანაწერს.** მაგ., თუ რომელიმე შეკითხვაზე პასუხი ნამდვილად არ გაქვთ, მასზე უფრო მეტ დროს ნუ დახარჯავთ, ვიდრე ეს თავად ჩანაწერშია მოცემული, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება ამოვარდეთ მოსმენის ტემპიდან და შემდეგ შეკითხვას ველარ უპასუხოთ.

მოსმენის დავალებები ჩაწერილია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, მოწვეული უცხოელი სპეციალისტების მიერ. ჩანაწერს უსმენთ კომპიუტერიდან, რომელიც მოთავსებულია თქვენს საგამოცდო სექტორში. ყურსასმენები არ გჭირდებათ. ჩანაწერის ხმა, ტემბრი და ა. შ. წინასწარ არის დარეგულირებული.

დავალება 3 კითხვა

დავალებაში მოცემულია ერთი ტექსტი. ტექსტი დაყოფილია 6 აბზაცად (A, B, C, D, E, F). ტექსტამდე მოცემულია 8 შეკითხვა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გარშემო. აბიტურიენტს მოეთხოვება, წაიკითხოს შეკითხვები და მოძებნოს და პასუხების ფურცელზე აღნიშნოს ის აბზაცი, სადაც მოცემულია პასუხი დასმულ შეკითხვაზე. ერთ აბზაცში შესაძლებელია მოცემული იყოს პასუხი ერთზე მეტ შეკითხვაზე. **საკითხების რაოდენობაა 8.** თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 8.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

- ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. გაამახვილეთ ყურადღება როგორც მის ცალკეულ აზრებში მოცემულ ფაქტობრივ დეტალებზე, ისე ზოგად ინფორმაციაზე. წაიკითხეთ შეკითხვები და ეცადეთ მოძებნოთ მათზე პასუხი ერთ კონკრეტულ აზრებში. პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ იმ კონკრეტული აზრების შესაბამისი ასო (A, B, C, D, E, F), რომელშიც მოძებნეთ პასუხი დასმულ შეკითხვაზე.
- გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებთ. სანამ შეკითხვის პასუხს მიუთითებდეთ, ყურადღებით წაიკითხეთ ყველა აზრები და შეეცადეთ თითოეულ შეკითხვას ის აზრები მიუსადაგოთ, სადაც ცალსახად არის გაცემული პასუხი დასმულ შეკითხვაზე.

დავალება 4 კითხვა

ტექსტი შეიძლება იყოს წერილი, მოგონება ან პიროვნული ისტორია. მასში ჩანს ავტორის განწყობა, მიზნები და ა.შ. ტექსტს მოსდევს არჩევითი ტიპის 8 შეკითხვა. 4 შესაძლო პასუხიდან აბიტურიენტმა პასუხების ფურცელზე უნდა მონიშნოს ის პასუხი, რომელიც ტექსტის შინაარსს შეესაბამება. საკითხების რაოდენობაა 8. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 8.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

- ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. ყურადღება გაამახვილეთ მის როგორც ძირითად აზრზე, ასევე მასში მოცემულ დეტალებზე, ავტორის განწყობაზე, მის დამოკიდებულებაზე მოთხრობილი ამბის მიმართ და ა.შ.
- წაიკითხეთ ტექსტის შემდეგ მოცემული დებულებები და 4 შესაძლო პასუხიდან აირჩიეთ ერთი. პასუხების ფურცელზე მონიშნეთ ის პასუხი - A, B, C ან D - რომელიც, თქვენი აზრით, ტექსტში მოცემულ ინფორმაციას ყველაზე ზუსტად შეესაბამება.
- გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებთ. შეკითხვები და ტექსტი რამოდენიმეჯერ გადაიკითხეთ. შეეცადეთ, რომ თითოეული საკითხისათვის ტექსტში მოძებნოთ ის ადგილი, სადაც შესაბამისი ინფორმაციაა მოცემული.

დავალება 5 ლექსიკა

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც 12 სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები ცალკეა გამოტანილი. ორი სიტყვა ზედმეტია. ყოველ გამოტოვებულ ადგილას აბიტურიენტმა უნდა ჩასვას ერთი სიტყვა. თითოეული სიტყვის გამოყენება მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი. სწორი სიტყვის შერჩევაში გეხმარებათ კონტექსტი. ამგვარად, ლექსიკის ცოდნა მოწმდება არა იზოლირებულად, არამედ კონტექსტზე დაყრდნობით. ყოველ სიტყვას ახლავს პირობითი ასო, მაგ.: Wetter (A), schnell (B), bringen (C). პასუხების ფურცელზე აბიტურიენტმა უნდა მონიშნოს სიტყვის შესაბამისი ასო. საკითხების რაოდენობაა 12. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 12.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

- ვიდრე გამოტოვებული სიტყვების ჩასმას დაიწყებთ, ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და შეეცადეთ, გაიგოთ თუ რის შესახებაა იგი. ამავე დროს, შეეცადეთ კარგად გაიაზროთ იმ წინადადებების შინაარსი, რომლებშიც სიტყვებია გამოტოვებული.
- წაიკითხეთ მოცემული სიტყვები და გაიაზრეთ სიტყვების მნიშვნელობა. შემდეგ ტექსტი ისევ გადაიკითხეთ და შეეცადეთ გამოტოვებული ადგილები სათანადო სიტყვებით შეავსოთ. სწორი არჩევანის გაკეთებაში გრამატიკის ცოდნაც დაგეხმარებათ. თუ მიხვდებით კონკრეტულ კონტექსტში რომელი მეტყველების

ნაწილია გამოტოვებული (ზმნა, არსებითი, ზედსართავი და ა.შ.), მაშინ სწორი სიტყვის არჩევა გაცილებით უფრო გაგიადვილდება.

დავალება 6 გრამატიკა

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც გამოტოვებულია 12 სიტყვა. ეს სიტყვებია წინდებული, კავშირი, ნაცვალსახელი, მიმართებითი ნაცვალსახელი, დამხმარე ზმნა და ა.შ. (მაგ.: mit, weil, man, der, werden და ა.შ.). სიტყვები არ არის მოცემული. კონტექსტის გათვალისწინებით აბიტურიენტმა უნდა მოიფიქროს და პასუხების ფურცელზე ამ დავალებისთვის გამოყოფილ ადგილას ჩაწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა. საკითხების რაოდენობაა 12. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 12.

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

- ვიდრე პასუხების ფურცელზე სიტყვების ჩაწერას დაიწყებთ, ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი. შეეცადეთ გაიგოთ, თუ რაზეა მასში საუბარი და როგორია მთლიანი ტექსტის კონტექსტი. ამავე დროს, შეეცადეთ კარგად გაიგოთ იმ წინადადებების შინაარსი, რომლებშიც სიტყვებია გამოტოვებული.
- ყოველი გამოტოვებული ადგილისთვის პასუხების ფურცელში ერთზე მეტი სიტყვის ჩაწერის შემთხვევაში პასუხი შეცდომად ჩაითვლება (მაგ.: როდესაც აბიტურიენტს ტექსტიდან მექანიკურად აქვს გადმოწერილი მომიჯნავე სიტყვები ან მთლიანი წინადადება).
- **ორთოგრაფიული შეცდომა შეცდომად ჩაითვლება.**

დავალება 7 წერა (წერილი)

დავალებაში მოცემულია მცირე ზომის განცხადება ან რეკლამა. აბიტურიენტს მოეთხოვება მისწეროს წერილი მოცემული რეკლამის ან განცხადების ავტორს და სთხოვოს მას დეტალური ინფორმაცია სამი საკითხის გარშემო. ის თუ, რის შესახებ უნდა მოიპოვოს ინფორმაცია აბიტურიენტმა ტესტში გამოტანილია შეკითხვების სახით. ამ დავალების დასაწერად აბიტურიენტს პასუხების ფურცელზე გამოყოფილი აქვს განსაზღვრული ადგილი. წერილის დასაწყისი და ბოლო მოცემულია. სტილი, სასურველია, იყოს ფორმალური. ამ დავალების მაქსიმალური ქულაა 6. (იხ. შეფასების სქემა გვ.14)

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, მოცემული განცხადება ან რეკლამა; შეეცადეთ კარგად გაიგოთ, თუ კონკრეტულად რას ითხოვენ თქვენგან.
- თქვენს წერილში მოითხოვეთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც ჩვენ მიერ არის მითითებული. ამ დავალების შეფასებისას სიტყვების რაოდენობის დათვლა არ ხდება, თუმცა გირჩევთ, რომ შეავსოთ ის ადგილი, რომელიც პასუხების ფურცელში ამ დავალებისთვის არის გამოყოფილი
- აზრი ჩამოაყალიბეთ მკაფიოდ და ნათლად. გამოიყენეთ შესაბამისი ფრაზები და სტრუქტურები.
- **არსად მიუთითოთ თქვენი (ან ფიქტიური) სახელი და გვარი. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება.** (იხ. ამ დავალების შეფასების ნიმუშები გვ. 16).

დავალება 8

წერა (თხზულება)

დავალება ამოწმებს აზრის წერილობითი სახით გადმოცემის უნარს. აბიტურიენტს მოეთხოვება მოცემული თემის გარშემო 120-150 სიტყვიანი თხზულების დაწერა. თხზულებაში უნდა ჩანდეს აბიტურიენტის უნარი მკაფიოდ და გასაგებად გამოხატოს საკუთარი პოზიცია დასმული საკითხის გარშემო და გაამყაროს იგი ფაქტებით და არგუმენტებით. მან უნდა გამოიყენოს მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკა და გრამატიკა, წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად და სტრუქტურულად სწორად დაუკავშიროს. ნაწერი ფასდება ორი კრიტერიუმით: აზრის ლოგიკურად და თანმიმდევრულად გამოხატვის უნარი (Inhaltliche Gestaltung) და გრამატიკულ-ლექსიკურ-ორთოგრაფიული სიზუსტე (Sprachliche Gestaltung). დავალების მაქსიმალური ქულაა 16. (იხ. შეფასების სქემა გვ. 15)

დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ:

- ყურადღებით წაიკითხეთ თემის სათაური. შეეცადეთ კარგად გაიგოთ, თუ რას მოითხოვენ თქვენგან. დაფიქრდით და ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი დასმულ საკითხთან დაკავშირებით.
- გაიხსენეთ 1-2 ფაქტი ან მაგალითი, რომელიც თქვენს მოსაზრებას დაასაბუთებს. წერეთ არგუმენტირებულად. წერისას გამოიყენეთ თქვენთვის ნაცნობი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციები. ნუ დაწერთ ზედმეტ ან განმეორებით ინფორმაციას. ეცადეთ აზრი მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბოთ. ეს ყველაფერი შავ ფურცელზე ჩამოწერეთ. იმ შემთხვევაში, თუ ორივე მოსაზრებას განიხილავთ და მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე იმსჯელებთ, ქულა არ დაგაკლდებათ, თუმცა, გირჩევთ, რომ მხოლოდ ერთ მოსაზრებაზე იმსჯელოთ. მოთხოვნილი სიტყვების რაოდენობის გათვალისწინებით, ასეთი მიდგომა უფრო კარგად აჩვენებს თქვენი მოსაზრების არგუმენტირებულად გადმოცემის უნარს.
- ეცადეთ, რომ დაიცვათ სიტყვების რაოდენობის მოთხოვნა (120-150 სიტყვა). 150 სიტყვაზე მეტის დაწერა არ ისჯება - ნაწერი ჩვეულებრივ სწორდება. 120 სიტყვაზე ნაკლების გამოყენების შემთხვევაში კი აბიტურიენტს აკლდება 1 ან მეტი ქულა. გაითვალისწინეთ, რომ არტიკლები, წინდებულები და ნაწილაკები ცალკე სიტყვებად ითვლება. ნაწერი გადაიკითხეთ და გაასწორეთ შეცდომები. საბოლოო ვერსია ყურადღებით გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. გახსოვდეთ, რომ სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი. წერეთ გარკვევით და სუფთად. დაიცავით აზრის აბზაცები.
- დაბალი ქულით (4-3 და ქვევით) ფასდება ის ნაწერი, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დავალებას, მაგ.: როდესაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აბიტურიენტი უმეტესად ზოგად ინფორმაციას იძლევა, თემა არ არის გაშლილი, ან პერიოდულად, მოტანილია ის ინფორმაცია, რომელიც თემას არ ეხება. ნულით ფასდება ის ნაწერი, რომელიც არ პასუხობს დავალებას ან რომელიც ძალიან ზოგადია. ასეთი ნაწერების შემთხვევაში, აშკარაა, რომ აბიტურიენტი წერს წინასწარ მომზადებულ და დაზეპირებულ თემას, რაც, ბუნებრივია, ვერ გამოდგება მისი წერის უნარის შესამოწმებლად. ნულით ფასდება ასევე ის ნაწერი, რომელშიც მითითებულია პირადი ან სხვისი სახელი და გვარი. გამოჩენილი ადამიანის სახელის ან გვარის მითითება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს კონტექსტუალურად გამართლებულია. მაგ. მოგყავთ ამ ადამიანის სიტყვები ან მას რაიმე კონკრეტულ ფაქტს უკავშირებთ და ა.შ.

რეკომენდაციები

- რეგულარულად აკეთეთ მოსმენის სავარჯიშოები, რომლებიც სახელმძღვანელოებს ახლავს. უსმინეთ გერმანულენოვან სატელევიზიო და რადიო გადაცემებს, ასევე ინტერნეტში მოცემულ მასალას. ეს შეიძლება იყოს ახალი ამბები, ამინდის პროგნოზი, მონათხრობი, ფილმები და ა.შ. ეს დაგეხმარებათ გერმანულ ენაზე როგორც მოსმენის, ისე ზოგადად, კომუნიკაციის უნარის განვითარებაში.
- ბევრი იკითხეთ გერმანულად. ეს შეიძლება იყოს ორიგინალური ან ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოებში, ჟურნალ-გაზეთებში ან სხვადასხვა ვებ-გვერდებზე მოცემული საინფორმაციო ტექსტები, განცხადებები, რეკლამები და ა. შ. კითხვის დროს ყურადღება გაამახვილეთ როგორც მოცემულ ფაქტებსა და დეტალებზე, ასევე ტექსტის ძირითად აზრზე. გახსოვდეთ, რომ ბევრი და სისტემატური კითხვა არამარტო კითხვის დავალებების, არამედ მთელი ტექსტის წარმატებით შესრულებაში დაგეხმარებათ.
- ბევრი და სისტემატურად წერეთ გერმანულად. ეს შეიძლება იყოს იმეილი, დღიური, მოკლე თხზულებები, ასევე სახელმძღვანელოებში მოცემული წერის დავალებები. შეცდომების ნუ შეგეშინდებათ. უცხოურ ენაზე წერა არ არის მარტივი და მხოლოდ სისტემატური ვარჯიშის შედეგად შეგიძლიათ მიაღწიოთ სასურველ შედეგს. კარგად გაეცანით კრებულში მოცემულ წერის დავალებების ნიმუშებს და შეფასების სქემებს და წერისას გაითვალისწინეთ მათში მოცემული მოთხოვნები. გახსოვდეთ, რომ ბევრი და სისტემატური ვარჯიში წერის დავალებების უკეთ შესრულებაში დაგეხმარებათ.
- კითხვისას, წერისას და მოსმენისას ყურადღება გაამახვილეთ გამოყენებულ ლექსიკასა და გრამატიკაზე. სისტემატურად აკეთეთ გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები. გახსოვდეთ, რომ გრამატიკა და ლექსიკა ენის 'ხერხემალია' და მათი ცოდნის გარეშე ვერც წაკითხულ ან მოსმენილ ტექსტს გაიგებთ და ვერც წერის დავალებებს შეასრულებთ.
- ივარჯიშეთ დავალებების სწრაფად შესრულებაში. გახსოვდეთ, რომ გამოცდაზე ტექსტის შესასრულებლად გამოყოფილია კონკრეტული დრო. დაიტოვეთ დრო თქვენი პასუხების გადასატანად პასუხების ფურცელზე.

პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების პირობას და ისე შეასრულეთ დავალებები. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.

პასუხების მონიშვნისას:

- პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი.
- ამ ნომრის ქვეშ მოცემულ უჯრაში X-ით აღნიშნეთ თქვენს მიერ არჩეული პასუხი. მაგ.: თუ მე-3 საკითხის პასუხად აირჩიეთ პასუხის B ვარიანტი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-3 საკითხის დავალების რიგი და ამ რიგში, პასუხის (B) სვეტის შესაბამის უჯრაში დასვათ X ნიშანი (იხ. ნიმუში).

გაითვალისწინეთ:

- თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა.
- დასაშვებია, რომ ნიშანი X გამოსცდეს თეთრ უჯრას (იხ. ნიმუში), მაგრამ იგი არ უნდა იყოს უჯრაზე მოკლე.
- თითოეული საკითხის შესაბამის რიგში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრაში დასვათ X ნიშანი. თუ რიგში ერთზე მეტ X- ნიშანს დასვამთ, ამ საკითხის არც ერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად.
- თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). ელექტრონული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ X- ნიშნიან უჯრას აღიქვამს.
- შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ (ანუ ის პასუხი, რომლის შესაბამისი უჯრა უკვე მთლიანად გააფერადეთ), ამიტომ გადასწორების წინ დაფიქრება გმართებთ.

ნიმუში

| | A | B | C | D | E | F | .. |
|---|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| 1 | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2 | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3 | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

მე-6 - მე-8 დავალებები ღია სახის დავალებებია და მათ მოწვეული გამსწორებლები ასწორებენ. გასწორება ელექტრონულია. თითოეული ღია დავალება სწორდება ორჯერ. პირველი და მეორე გამსწორებელი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად მუშაობს. პირველ და მეორე გამსწორებლის მიერ ერთი და იგივე საკითხის განსხვავებული შეფასების შემთხვევაში ნაშრომს ასწორებს მე-3 გამსწორებელი, რომელიც ასევე დამოუკიდებლად მუშაობს. გასწორებისას გამსწორებლები ხელმძღვანელობენ ცენტრის სპეციალისტების მიერ წინასწარ შემუშავებული უნიფიცირებული პასუხებით და შეფასების სქემებით, რომლიდანაც გადახვევის უფლება მათ არ აქვთ. ტესტების გასწორებისას დაცულია აბიტურიენტების და გამსწორებლის სრული კონფიდენციალობა.

წერის დავალებების შეფასების სქემები

წერილის შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 6

| ქულა | აღწერა |
|------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 6 | ნაწერი ძალიან კარგია. მოსაზრება კარგად ჩანს. გამოყენებულია მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები და მდიდარი ლექსიკა. სრულად და არგუმენტირებულად პასუხობს დავალებას. შეცდომები არ არის, ან დაშვებულია, მხოლოდ ერთი მართლწერის შეცდომა. |
| 5 | ნაწერი კარგია. მოსაზრება კარგად ჩანს. გამოყენებულია კარგი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა. სრულად პასუხობს დავალებას. შეცდომები უმნიშვნელოა. ან: ნაწერი ძალიან კარგია, თუმცა პასუხი მხოლოდ ორ შეკითხვაზე გაცემული. |
| 4 | ნაწერი საშუალო დონისაა. მოსაზრება ჩანს. გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა. შეცდომები ცოტაა. (უმეტესწილად, ხელს არ უშლის აზრის გაგებას) ან: მოცემულია პასუხების მექანიკური ჩამონათვალი. ან: ნაწერი კარგია, თუმცა პასუხი მხოლოდ ორ შეკითხვაზე გაცემული. |
| 3 | ნაწერი საშუალოზე დაბალი დონისაა. გამოყენებულია მარტივი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; შეცდომები თვალშისაცემია (ხშირად ხელს უშლის აზრის გაგებას). ან: ნაწერი საშუალო დონისაა, თუმცა პასუხი მხოლოდ ორ შეკითხვაზე გაცემული. ან: გამოყენებულია ბევრი ზოგადი დაზეპირებული ფრაზა, რაც ყველა დავალებაზე შეიძლება წავიდეს. |
| 2 | ნაწერი სუსტია. გრამატიკა და ლექსიკა მეტად მარტივი და ერთფეროვანია, შეცდომები ხშირია. ან: პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ შეკითხვაზე ან: დაწერილია მხოლოდ 2-3 ხაზი. აზრი, ზოგ შემთხვევაში, ბუნდოვანია. |
| 1 | ნაწერი ძალიან სუსტია და/ან დაწერილია მხოლოდ 1-2 მოკლე წინადადება და/ან შეცდომები დაშვებულია ყოველ წინადადებაში; აზრი ბუნდოვანია. |
| 0 | ნაწერი არ პასუხობს დავალებას/არ არის დასმული არც ერთი შეკითხვა ან ფურცელი ცარიელია. |

თხზულების შეფასების სქემა
მაქსიმალური ქულა 16

| ქულა | როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას; არის თუ არა აზრი გადმოცემული თანმიმდევრულად Inhaltliche Gestaltung | როგორ არის დაცული გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე. ასევე სიზუსტე მართლწერასა და პუნქტუაციაში. Sprachliche Gestaltung | ქულა |
|-------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------|
| 8-7 | <p>- ნაწერი ძალიან კარგია. იგი სრულყოფილად პასუხობს დავალებას.</p> <p>- აზრი მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. გამყარებულია მაგალითებით და პირადი მოსაზრებებით.</p> <p>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია.</p> | <p>- გრამატიკული შეცდომების რაოდენობა 3-ს არ აღემატება. გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები.</p> <p>- ლექსიკა მდიდარია.</p> <p>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა.</p> | 8-7 |
| 6-5 | <p>- ნაწერი კარგია. პასუხობს დავალებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ზედმეტი ან, პირიქით, არასაკმარისი ინფორმაციაა მოცემული.</p> <p>- აზრი ძირითადად კარგად არის გადმოცემული. ჩანს პირადი მოსაზრება და/ან მოყვანილია მაგალითი.</p> <p>- ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დამაბნელებელი უხდება.</p> | <p>- დაშვებულია 4-7 გრამატიკული შეცდომა, არასწორი სინტაქსური სტრუქტურების ჩათვლით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძირითადი აზრის გაგებას.</p> <p>- ლექსიკა დავალებისა და მოთხოვნის შესატყვისია.</p> <p>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებული შეცდომები ძირითადად ხელს არ უშლის აზრის გაგებას.</p> | 6-5 |
| 4-3 | <p>- ნაწერი საშუალო დონისაა. აზრი ძირითადად გასაგებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში აზრის მიყოლა ჭირს. ინფორმაცია ზოგადად, დებულებები მეორდება.</p> <p>- წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად ცუდად უკავშირდება. პირადი მოსაზრება მკაფიოდ არ ჩანს.</p> <p>ან: ნაწერი 61-109 სიტყვაა, შესაბამისად შეცდომების რაოდენობა ნაკლებია.</p> | <p>- დაშვებულია 8-11 გრამატიკული შეცდომა. გამოყენებულია მეტისმეტად მარტივი და/ან არასწორი სინტაქსური სტრუქტურები.</p> <p>- ლექსიკა საკმაოდ მარტივი და შეზღუდულია.</p> <p>- მართლწერასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც, ზოგ შემთხვევაში, ხელს უშლის აზრის გაგებას.</p> | 4-3 |
| 2-1 | <p>- ნაწერი (ძალიან) სუსტია. ინფორმაცია ზოგადი და მწირია. აზრის გაგება, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია.</p> <p>ან: ნაწერი 60 სიტყვა ან ნაკლებია /დაწერილია რამდენიმე წინადადება.</p> <p>ან: ზოგადი სახის დებულებები, რომლებიც კონკრეტულ თემას არ უკავშირდება, ხშირად მეორდება.</p> | <p>- დაშვებულია 11-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია.</p> <p>- ლექსიკა ძალზე მარტივი და შეუსაბამოა.</p> <p>- მჟღავნდება მართლწერისა და პუნქტუაციის წესების სუსტი ცოდნა.</p> | 2-1 |
| 0 | <p>ფურცელი ცარიელია ან დაწერილია მხოლოდ ერთი წინადადება ან გადმოწერილია დავალების ინსტრუქცია.</p> <p>ან: ნაწერი არ პასუხობს დავალებას.</p> | <p>დაწერილია რამდენიმე წინადადება, საიდანაც აზრის გამოტანა შეუძლებელია.</p> <p>შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში.</p> | 0 |

(უცხოური ენების ჯგუფი იტოვებს უფლებას შეფასების სქემებში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს).

წერის დავალებების შეფასების ნიმუშები

(გამოყენებულია რეალური ნაწერები)

წერილი

Aufgabe 7: Sie haben folgende Anzeige im Internet gelesen. Sie interessieren sich für das Angebot und wollen nähere Informationen zu bestimmten Details bekommen. Schreiben Sie eine E-Mail und stellen Sie Fragen zu den Details, die hervorgehoben sind. Der Anfang ist angegeben. Geben Sie im Brief keine Namen an.

Wie viel?

Uhrzeit?

Wie lange?

Wer möchte gern in einem Film mitspielen?
Wir suchen Jugendliche für eine Fernsehserie.
Verschiedene Rollen für junge Leute ab 14 Jahren!

- kreative und interessante Arbeit
- Arbeit nur **ein paar Stunden** pro Tag
- **gute** Bezahlung
- Casting **von Montag bis Freitag**

Anmeldungen an Studiodirektor Otto Reissner
Schlossallee 7. 10211 Berlin
www.kino-neu.com

ნიმუში A

Sehr geehrter Herr Reissner,

Ich habe Ihre Anzeige im Internet gelesen und habe nun einige Fragen. Da ich jetzt in der zehnten Klasse bin, bin ich in der Schule sehr beschäftigt. Deshalb möchte ich genau wissen, wieviele Stunden die Arbeit dauern wird. Können Sie mir auch sagen, wieviel Geld ich für die ganze Arbeit bekomme? Und noch eins. Bis 16 Uhr bin ich normalerweise in der Schule. Schreiben Sie mir bitte bis wieviel Uhr der Casting dauert.

Mit freundlichen Grüßen

შეფასება: 6 ქულა. ნაწერი ძალიან კარგია. გამოყენებულია მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები და მდიდარი ლექსიკა. სრულად პასუხობს დავალებას. შეცდომები არ არის.

ნომერი B

Sehr geehrter Herr Reissner,

Ich habe Ihre Anzeige im Internet gelesen und interessiere mich für die Arbeit. Wie viele Stunden muss ich pro Tag arbeiten? Ich verdiene wieviel Geld? Und noch ich will wissen, wann beginnt der Casting ?

Mit freundlichen Grüßen

შეფასება: 4 ქულა. ნაწერი საშუალო დონისაა. გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა. შეცდომები მინიმალურია.

ნომერი C

Sehr geehrter Herr Reissner,

Ich habe Ihre Anzeige im Internet gelesen und ich arbeiten wil und verschiedene Rolle mitspielen. Wie lange arbeite pro Tag? Wiviel Geld bekomme?Danke.

Mit freundlichen Grüßen

შეფასება: 2 ქულა. ნაწერი სუსტია. გრამატიკა და ლექსიკა მეტად მარტივი და ერთფეროვანია ან პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ შეკითხვაზე ან შევსებულია მოცემული ადგილის ნახევარი ან ნახევარზე ნაკლები. შეცდომები ხშირია.

თხზულება

Aufgabe 8: Schreiben Sie zu dem folgenden Thema einen Aufsatz mit ca. 120-150 Wörtern.

In vielen Ländern beginnen die Jugendlichen mit 20-22 Jahren mit dem Studium, weil sie noch nicht genau wissen, was sie im Leben machen wollen. Was denken Sie darüber? Begründen Sie Ihre Meinung und bringen Sie Beispiele.

ნიმუში A

Meiner Meinung nach ist die Berufswahl eine wichtige Entscheidung im Leben eines Menschen. Bei der Berufswahl müssen wir sicher sein, dass das gewählte Fach uns tatsächlich interessiert. Deswegen sollte man erwachsener werden und das Leben erkennen, um zu verstehen, was man im Leben machen will.

Heutzutage gibt es sehr viele Studienangebote. Je entwickelter ein Land ist, desto größer sind die Chancen. Deswegen beginnen die Jugendlichen nicht mehr gleich nach dem Schulabschluss mit dem Studium, sondern erst mit 20-22 Jahren.

In Georgien ist es anders. Fast alle Jugendlichen beginnen gleich nach dem Schulabschluss mit dem Studium. Da sind sie für diese ernste Entscheidung noch zu klein und die Eltern bestimmen oft ihre Zukunft.

Meine Bekannte, zum Beispiel, war nach dem Schulabschluss völlig verwirrt. Sie konnte sich nicht entscheiden, was sie studieren sollte. Zum Schluss haben ihr die Eltern empfohlen, Rechtswissenschaft zu studieren. Nach einem Jahr verstand sie, dass das eine falsche Entscheidung war. Sie hörte mit dem Studium auf und beschloss ein Jahr durch die Welt zu reisen. Nach dem Rückkehr stellte sie fest, dass sie Medizin studieren wollte.

აზრის თანმიმდევრობა: 8 ქულა

ნაწერი ძალიან კარგია. სრულად პასუხობს დავალებას. პირადი მოსაზრება მკაფიოდ და გასაგებად არის გადმოცემული. მსჯელობა არგუმენტირებულია. ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ლოგიკურია. ნაწერის მოცულობა ნორმაზე ოდნავ მეტია, რაც ნაკლად არ ითვლება.

გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე: 8 ქულა

ნაწერში გამოყენებულია რთული წინადადებები და კონსტრუქციები. ლექსიკა მდიდარია. შეცდომები - მინიმალური.

საბოლოო შეფასება: 16 ქულა

ნიმუში B

Ich finde das richtig, dass die Jugendlichen mit 20-22 Jahren mit dem Studium beginnen. Dann sind sie schon groß und sie wissen gut, was sie im Leben machen wollen. Nach der Schule haben sie noch keine Erfahrungen. Manche Leute brauchen Zeit und zuerst sie müssen warten oder irgendwo arbeiten. Dann sie wissen besser, was für sie interessant ist und was sie studieren wollen. Wenn sie gleich nach der Schule beginnen mit dem Studium, sind sie noch sehr jung und später wechseln sie ihr Fakultet oder die Universität, aber das ist nicht gut. So war zum Beispiel mein Nachbar, sie hat zuerst etwas anderes studiert und dann fand das nicht mehr interessant und zu schwer und jetzt studiert sie auf ein anderes Fakultet. Sie ist jetzt zufrieden.

აზრის თანმიმდევრობა: 5 ქულა

ნაწერი კარგია. პასუხობს დავალებას. ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასვლა ძირითადად ლოგიკურია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მკითხველს ყურადღების დაძაბვა უხდება.

გრამატიკულ-ლექსიკური სიზუსტე: 4 ქულა

დაშვებულია 8 გრამატიკული შეცდომა, არასწორი გრამატიკული სტრუქტურების ჩათვლით. დაშვებულია რამდენიმე ლექსიკური უზუსტობა, ასევე მართლწერის რამდენიმე შეცდომა. ლექსიკა მარტივია.

საბოლოო შეფასება: 9 ქულა

ნიმუში C

In vielen Ländern beginnen die Jugendlichen mit 20-22 Jahren mit dem Studium, weil sie noch nicht genau wissen, was sie im Leben machen wollen. Ich mache auch so. Das ist mein Meinung, dass Jugendlichen mit 20-22 Jahren beginnen mit dem Studium.

საბოლოო შეფასება 0: დაწერილია რამდენიმე წინადადება, რომელთა ნაწილი იმეორებს დავალების პირობას. შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში.

დავალებების ნიმუშები

მოსმენის დავალებების ნიმუშებისთვის (პირველი და მე-2 დავალება) ჩანაწერები მოცემულია ცალკე ფაილად. პასუხები იხ. ამ კრებულის ბოლოს)

1. Sie hören fünf Texte. Zu jedem Text gibt es zwei Aufgaben. Kreuzen Sie die richtige Antwort (A,B,C) an. Lesen Sie zuerst die Aufgaben. Dafür haben Sie 20 Sekunden Zeit. Jeden Text hören Sie zweimal.

Text 1

1. Was machen Daniela und Andre am Wochenende?

- A. Sie sind viel unterwegs.
- B. Sie treffen ihre Freunde.
- C. Sie arbeiten viel.

2. Wie lange dauert die Zugfahrt von München nach Köln?

- A. 2 Stunden
- B. 3 Stunden
- C. 5 Stunden

Text 2

3. Am Anfang war Schwarzenegger

- A. Immobilienmakler.
- B. Bodybuilder.
- C. Schauspieler.

4. Mit wieviel Jahren ging Schwarzenegger nach Amerika?

- A. mit 21 Jahren
- B. mit 19 Jahren
- C. mit 30 Jahren

Text 3

5. In Hamburg gibt es

- A. das größte Flugzeugwerk in Deutschland.
- B. die größte Kirche in Deutschland.
- C. den größten Hafen in Deutschland.

6. Wovon handelt der Text?

- A. von den Kaufleuten von Hamburg
- B. von den Universitäten in Hamburg
- C. von der Stadt Hamburg

Text 4

7. Das besondere an Österreich sind

- A. seine Berge.
- B. seine Meeresküsten.
- C. seine Flüsse.

8. Die Tradition des Kaffeetrinkens in Wien entstand dank

- A. den Deutschen.
- B. den Italienern.
- C. den Türken.

Text 5

9. Zum Frühstück

- A. trinken die Deutschen oft Wein.
- B. essen die Deutschen viel.
- C. trinken die Deutschen nur Kaffee.

10. Früher war die wichtigste Mahlzeit in Deutschland

- A. das Mittagessen.
- B. das Frühstück.
- C. das Abendessen.

2. Sie hören fünf Texte. Zu jedem Text gibt es zwei Fragen. Kreuzen Sie die richtige Antwort (A-C) an. Lesen Sie zuerst die Aufgaben. Dafür haben Sie 20 Sekunden Zeit. Jeden Text hören Sie zweimal.

Text 1

1. Was gefällt Hans bei seiner Arbeit nicht?

- A. die Kollegen
- B. die Arbeitszeiten
- C. die Gäste

2. Hans bekommt das Geld für sein Restaurant von

- A. seinem Bruder.
- B. seiner Freundin.
- C. seinen Eltern.

Text 2

3. Wieviele Brüder hatte Michael Jackson?

- A. drei
- B. fünf
- C. vier

4. Was sagte Michael Jackson über seine Kindheit?

- A. Er hatte eine normale Kindheit.
- B. Er hatte eine traurige Kindheit.
- C. Er hatte viel Spaß in der Kindheit.

Text 3

5. Bis zur Wende standen am Pariser Platz

- A. nur wenige Bauwerke.
- B. nur die Botschaften.
- C. viele bekannte Gebäude.

6. Heute ist das Brandenburger Tor ein Symbol für

- A. die Teilung Deutschlands.
- B. die Wiedervereinigung Deutschlands.
- C. Ostberlin.

Text 4

7. Wo findet das Oktoberfest statt?

- A. südlich von München
- B. am Hauptbahnhof
- C. auf der Theresienwiese

8. Worüber ist der Text?

- A. über das Oktoberfest
- B. über König Ludwig
- C. über das erste Pferderennen

Text 5

9. Wer erstellt in schwedischen Schulen den wöchentlichen Stundenplan?

- A. Lehrer und Schüler gemeinsam
- B. die Schüler
- C. die Lehrer

10. Worüber ist der Text?

- A. über die Lehrer in Schweden
- B. über die Schulen in Schweden
- C. über die Zeugnisse in Schweden

3. Lesen Sie die Fragen (1-8) und suchen Sie die Antworten in Abschnitten (A-F). Zu manchen Abschnitten gibt es mehrere Fragen.

In welchem Abschnitt

1. geht es darum, wie Dickens seine Karriere als Schriftsteller begann?
2. werden die letzten Lebensjahre von Dickens beschrieben?
3. wird das berühmteste Werk von Dickens erwähnt?
4. steht, dass Dickens auch im Ausland beliebt wurde?
5. ist die Rede von den Lehtjahren von Dickens?
6. steht, dass Dickens das Leben der armen Menschen in England beschrieb?
7. kann man lesen, dass sich die finanzielle Lage von Dickens verbesserte ?
8. geht es um die schwere Kindheit von Charles Dickens?

Charles Dickens, ein weltberühmter Autor

A. Der englische Schriftsteller Charles Dickens wurde am 7. Februar 1812 in Landport geboren. Seine Eltern besaßen nicht viel und so wuchs er in Armut auf. 1822 zog die zehnköpfige Familie nach London um. Bereits als Zwölfjähriger musste Charles körperlich hart arbeiten, um für seine Familie zu sorgen. Sein Vater saß wegen Schulden im Gefängnis. Und so war es der junge Charles, der als Fabrikarbeiter für den Unterhalt sorgte. Der spätere Schriftsteller hatte also keine schöne Kindheit.

B. Die Schule kannte der junge Charles in dieser Zeit fast nur von außen. Durch die Arbeit hatte er kaum Zeit die Schule zu besuchen. Aber er versuchte, in seiner Freizeit zu lernen und er fand auch ab und zu Zeit, etwas zu lesen. Als sein Vater 1824 aus dem Gefängnis entlassen wurde, konnte Charles bis 1826 wieder regelmäßig die Schule besuchen. Später begann er als Schreiber bei einem Anwalt zu arbeiten. Er war ehrgeizig und wurde bald Berichterstatter im Parlament. 1836 heiratete Dickens Catherine Hogarth, mit der er später zehn Kinder hatte.

C. Am Anfang veröffentlichte er seine Romane in monatlichen Heften. Da die Zeitschriften recht billig waren, konnten sie viele Menschen kaufen. Die Leser warteten jeden Monat sehnsüchtig auf die Fortsetzung. Dank seines Talentes wurde Dickens schon bald zum beliebtesten Schriftsteller in England. 1837 erschien seine berühmteste Erzählung, "Oliver Twist". Der englische Autor wurde sogar Mitglied im so genannten "Garrick Club" – in einem berühmten Club in London, dem Schriftsteller und Künstler angehörten.

D. Dickens war der erste Schriftsteller in England, der das Leben der armen Leute in seinen Erzählungen beschrieb. Dieses Leben kannte Dickens selbst nur zu gut und so gelang es ihm, dies äußerst realistisch zu beschreiben. Somit brachte er vielen Menschen nahe, wie das Leben in Armut in England wirklich war. Da einige seiner Leser aus den oberen Gesellschaftsschichten stammten, lernten auch sie das Leben der Armen kennen. Dickens' Erzählungen waren auch in den USA bekannt und auch dort liebten viele Menschen seine Romane.

